



„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ განახორციელებს 2011 წლის, 2 ოქტომბრის შუალედური არჩევნების მონიტორინგს თელავში

მედია განცხადება

1 ოქტომბრიდან „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISPED) ორგანიზაციას ეყოლება ახალი აღმასრულებელი დირექტორი. ეკატერინე სირამე-დელონეს ამ პოსტზე ნინო ლომჯარია შეცვლის.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISPED) განახორციელებს 2011 წლის 2 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების (# 17 თელავის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარული სისტემის არჩევნები) მონიტორინგს, რომელიც მოიცავს როგორც არჩევნების დღის დაკვირვებას ასევე არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგს.

არჩევნების დღე

არჩევნების დღეს, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ სადამკვირვებლო მისია დაფარავს თელავის საარჩევნო ოლქის 43 უბანს, ორგანიზაციის 43 დამკვირვებლის მეშვეობით. ორგანიზაცია ასევე დამკვირვებელს მიავლენს თელავის საოლქო საარჩევნო კომისიაში. პარალელურად, ინფორმაციის ოპერატიულად მოპოვების მიზნით ორგანიზაცია ჩამოაყალიბებს მობილურ ჯგუფს, რომლის ფუნქცია იქნება, საარჩევნო უბნებზე გამოვლენილ კრიტიკულ სიტუაციებზე დაუყოვნებელი რეაგირება.

არჩევნების დღის განმავლობაში, „სამართლიანი არჩევნები“ პრეს-კონფერენციების მეშვეობით საზოგადოებას მიაწვდის ობიექტურ ინფორმაციას კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისა და მოცემული დროისათვის გამოვლენილი დარღვევების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ.

არჩევნების შემდგომი პერიოდი

არჩევნების დღის დასრულების შემდეგ, „სამართლიანი არჩევნები“ განახორციელებს მონიტორინგს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე. ამასთან, ორგანიზაცია დააკვირდება საჩივრების განხილვის, მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებისა და ვადების დაცვის საკითხებს.

საარჩევნო პროცესების დასრულების შემდეგ კი ორგანიზაცია საზოგადოებას მიაწვდის ამომწურავ ინფორმაციას თელავი საარჩევნო ოლქში ჩატარებული საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების შესახებ.